ქრიჭინა და ჭიანჭველა

ილუსტრატორი
ბრუნო რობერტი

სულაკაურის
გამომცემლობა

ზაფხული იყო. ჭრიჭინა სოკოს
ქვეშ იჯდა და მღეროდა.
მან ჭიანჭველა დაინახა.
ჭიანჭველას კენკრა მიჰქონდა.

ჭრიჭინამ დაუძახა:
– როგორ ხარ, მეგობარო?
– კენკრას ვაგროვებ, – უპასუხა
ჭიანჭველამ.

– ძალიან ცხელა. მოდი, დაისვენე, მეგობარო! – სთხოვა ჭრიჭინამ.

– არ მცალია! ზამთრისთვის საკვებს ვიმარაგებ, – უპასუხა ჭიანჭველამ.

– სულელი! რა დროს ზამთარია! – გაიცინა ჭრიჭინამ.

ჭიანჭველა მთელ დღეს
შრომობდა. შინ საკვებს
ეზიდებოდა.

ჭრიჭინა სოკოს ქვეშ იჯდა.
ხან მღეროდა, ხან ეძინა.
– სულელი! რა დროს ზამთარია! –
დასცინოდა ჭიანჭველას.